წელიწადი მე-2 — ტელეფონი № 76. — პარასკევი, 16 სექტემბერი

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი [illegible] ტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 438 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 438.

მწუხარებაში მყოფნი მშობლები სამსონ ეგნატეს ძე ბაბუნაშვილი და მეუღლე მისი ისაკია სიმონის ასული, შვილები მათი ალექსანდრე და თამარა, რძალი აგრაფინა ალექსანდრე დარჩიას ასული და შვილები მისი ლია, მილიცადა, გლავირა, დისწულები გარდაცვალებულისა ჩიტო, ქორეიკა გიორგის ძე და ასული ჩაჩუები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ტრაღიკულათ დაღუპვას 11 ამი თვეს, ველოსიპედით სეირნობის დროს ფერმის ქუჩაზე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

**სერგო (ბუჩა) სამსონის ძის ბაბუნაშვილისას.**

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება ოლასკურის სასაფლაოზე 18 სექტემბერს, დღით კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოასვენებენ მესამე ალექსანდროვის ქუჩიდან, საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათზე. ცალკე წერილები არ დარიგდება. 309—3—1

---

მღ. ანდრია და არსენ ჭალაგანიძენი, გიორგი, მიხეილი, ვერა და სონია იერემიას ძენი და ასულნი ქავთარაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ასულის, მეორე ძმისწულის და დანარჩენნი ძვირფასი დედის

**მ ი ნ ა დ ო რ ა ს**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულა ძველ სენაკის წმიდის გიორგის ეკლესიის გალავანში 18 სეკტემბერს, დღით კვირას 12 ს. პანაშვიდები ყოველდღე სოფ. მარტვილში საკ. სახლში. 308—1—1

---

ქვრივი ნინო მამუკას ასული ხოჭოლავასი, მამა, ძმები, დები, სიძეები, რძლები, სიდედრი თურქიასი, ცოლის ძმები, ცოლის დები და ქვისლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 10 სექტემბერს ქალ. პიატიგორსკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი

**ბიქტორ ივანეს ძე ხოჭოლავა.**

ნეშთის ქუთაისში მოსვენების და დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

## ი ყ ი დ ე ბ ა

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქაროვის სავაჭროში, ფურმნის საქაჩავი და ფურმნის საწური. ვურჩევთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ გასავრცელებლად სოფლის მეურნეთა შორის ზემოხსენებული საქაჩავი, ვინაიდგან იგი დიდ დახმარებას გაუწევს მათ მუშა ხელის ნაკლებობის გამო. თ.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საასქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

---

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ, საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ორშაბათიდან, 12 სექტემბრიდან:

## აჩრდილი წარსულისა.

## დაცვენილი ფოთლები

დიდი მხატვრული დრამა 4 ნაწილად.

**ღვინის კეთება კავკასიაში.**

**გულგატეხილი აშიკი** კომიკური.

**ა ნ ო ნ ს ი:** პარასკევიდან 16 სექტემბრიდან

## ვ ი ნ დ ა ღ უ პ ა.

თანამედროვე დრამა სამ ნაწილად; ბარანცევიჩის, მირატის, ჯემაროვის, სოტნიკოვის და კნორრის მონაწილეობით; ბარანცევიჩის ნოველის „ტყის დარაჯი ქალი“-ს მიხედვით

**ვინ არშიყობს.** სახუმარო. კოროტიშკინის მონაწილეობით.

---

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ორშაბათიდან, 12 სექტემბრიდან:

## გზას აცდარი ცხოვარი.

დრამა 4 ნაწ პროლოგით.

**ქრონიკა გომონი**

მიმდინარე ამბები.

**ა ნ ო ნ ს ი:** პარასკევიდან 16 სექტემბრიდან

**ვისაც უყვარს, ის გაიგებს.**

ორიგინალური დრამა 4 ნაწ. მსახიობთა ცხოვრებიდან ჩერნოვას და ტურჟანსკის მონაწ.

**ცოლის შერთვა მინდა.** სახუმარო.

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

**1 ოქტომბრიდან გაიხსნება ჭრა-კერვის კურსები კატო ალიხანაშვილისა.**

კურსი ერთწლიანი იქნება. მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ **შესაფერ ატესტატს.** მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერვა დადიანის ქუჩაზე პატარიძის სახლში, გელაშვილთან. სათანადო ნებართვა მთავრობისა კურსების გახსნაზე უკვე მიღებულია. მოწაფეთა რიცხვი განსაზღვრულია 25-ით. პირველი კურსები უკვე დასრულდა და მოსწავლეებმა შესაფერი ატესტატებიც მიიღეს.

297—3—3 **კურსების გამგე კატო ალიხანაშვილისა.**

---

# მსოფლიო ომი.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

**უმაღლესმთავ არსარდლის შტაბისაგან.**

13 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთისა და კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

12 ენკენისთვე.

**ნიუიორკი.** რკინის გზებისა და ტრამვაის პატრონებმა მოსამსახურეებს ნება არ მისცეს შრომის ორგანიზაციის წარმომადგენელთა კავშირში შესვლისა. თუ ეს დადგენილება არ გააუქმეს, ოთხშაბათს, დილის რვა საათზე ათასობით ქარხანაში შეჩერდება მუშაობა, შესწყდება მიმოსვლა და აგრეთვე გემთა ამშენებელ ქარხანებშიაც შეჩერდება მუშაობა.

**რომი.** კარსოზე მოპირდაპირემ იერიში მოიტანა „208“ სიმაღლეზე, ვილანოვის სამხრეთით. მოპირდაპირის მცირე რაზმი შემოიჭრა ჩვენს თხრილებში, მაგრამ მაშინვე გავდევნეთ. დილით განაახლეს შემოტევა აგრეთვე „244“ სიმაღლესთან, მან ფოლკონე ჩრდილო-აღმოსავლეთით მოვიგერიეთ.

მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს მონტევეკში, ორეშის, ვიჩენცას და ზემო ანსიესში მისურიდის ოლქში. ზარალი არ მოუყენებიათ.

**პარიზი.** საღამოს ოფიციალური ცნობა. სომას ჩრდილოეთით, ტიომონისა და ფოლერის მიდამოებში და მაასის მარჯვენა ნაპირას ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა. მთელ ბრძოლის ხაზზე თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

11 ენკენისთვეს ღამე, 7-მა ჩვენმა მფრინავმა რემზახისა და ტიონვილის ქარხნებს 46 ყუმბარა ესროლეს. კაპიტანმა დე-ბოშანმა და პარუჩიკმა დ,ოკურმა დილის 11 საათზე 12 ყუმბარა ესროლეს ესენის ქარხანას ვესტვალში და უვნებლად დაბრუნდნენ. მათ გაიარეს 800 ვერსი.

10 ენკენისთვეს ღამე „ცეპელინი“ გამოჩნდა კალეს მიდამოებში, სროლა აუტეხეთ და ისე გავაბრუნეთ, რომ ვერც ერთი ყუმბარა ვერ ჩამოაგდო.

**რომი.** ლედროს ველში 9 ენკენისთვეს მტრის რაზმი ლენგუშას ჩრდილო-აღმოსავლეთით უკუ ვაგდეთ. ასტიკოს ველში 10 ენკენისთვეს განთიადისას, ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ მოპირდაპირემ ნაღმი აგვიფეთქა მონტე-სელიოუ-ჯიოზე. ჩვენი ჯარი იძულებული გახდა 100 ადლით უკან დაეხია ამ მთის ქედიდან.

**ლონდონი.** ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა. სტრუმის ბრძოლის ხაზზე ჩვენი ჯარი სამ ადგილას გადავიდა მდინარის მეორე ნაპირას. აქ სოფელი ესიმი ავიღეთ, მტერს ფეხდაფეხ გავყევით და ყარაჯაქობალზე იერიში მივიტანეთ. მოპირდაპირემ მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. დოირანის ბრძოლის ხაზზე ჩვენი მზვერავი რაზმები მოქმედებას ანვითარებენ. დიდი ნისლი ზარბაზნის მოქმედებას აფერხებს.

**სალამოს ცნობა.** საფრანგეთის ასპარეზზე, ანკარში მოპირდაპირემ იერიშები მოიტანა ლემეფის დასავლეთით, მაგრამ მოვიგერიეთ.

გუშინ მტრის ჰაეროპლანი იძულებული გავხედეთ. ძირს დაშვებულიყო. ჩვენი 5 ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

**პეტროგრადი.** ფინანსთა საბჭომ ბრძანება გამოსცა, საომარ დროის გამო, აიკრძალოს მთელი იმპერიიდან ცხენების გაყვანა ფინლიანდიაში.

**მუკდენი.** იაპონიის ნარევი რაზმი გენერალ-მაიორ სანტის სარდლობით გუნჩულიდან ჩანდილინიანში გაემართა, იქ მყოფ ცხენოსან პოლკის სანაცვლოდ, რომელიც ფეხდაფეხ სდევნის მონღოლეთის მეამბოხეებს. ჩინელები თურმე თავდასხმას უპირებენ ამ ცხენოსან ჯარს.

**თეირანი.** რუსეთის გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული იმ ნოტის თაობაზე, რომელიც განიხილეს რუსეთ-ინგლისის დესპანებმა და სეპეხდარის კაბინეტმა. ამ ცნობამ საგონებელში ჩააგდო სპარსელები, რომელთაც ეს საქმე მიიჩნიეს, ვითომც რუსეთი და ინგლისი სპარსეთზე პროტექტორატორობას ამყარებდნენ. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის სანდო წყაროებიდან შეუტყვია, რომ მეგობარ სახელმწიფოთა შეთანხმება ეხებოდა სპარსეთის ფინანსიურ და შინაურ მდგომარეობის მოწესრიგებას, რის განსახორციელებლადაც საჭიროდ ჩასთვალეს სპარსეთში თვალსაჩინო ჯარის თავმოყრა.

**რიგა.** ვეგევოლდზე დაჰფრენდა გერმანელების ოთხმოტორიანი ჰაეროპლანი „ილია მურომეცის“ კონსტრუქციის მაგვარი. რიგას დილით ჰაეროპლანი დასტრიალებდა.

**ლონდონი.** ოფიციალიური ცნობა. გერმანელების 14—15 დირიჟაბლი 11 ენკენისთვეს, ღამე დაეცა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოს და ლინკოლნის აღმოსავლეთის შუაგულს. ლონდონზე იერიში მოიტანეს აღმოსავლეთიდან მისულმა დირიჟაბლებმა ღამის 12—1 საათზე. დირიჟაბლები განდევნეს, თუმცა მაინც მოახერხეს ყუმბარების ჩამოყრა ლონდონის სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთის ნაწილში. სამწუხაროდ, 28 კაცი მოკლულია, 99 დაჭრილი. ორი დირიჟაბლი ესსექსში ძირს ჩამოვაგდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდგომარეობა ბევრად არ შეცვლილა. აქა-იქ მხოლოდ მზვერავი რაზმები მოქმედებენ და მცირე საარტილერიო ბრძოლებია.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალებმა მოქმედება შეაჩერეს და მზადებაში არიან.

**დასავლეთის ასპარეზი.** ინგლისელები და ფრანგები სომმის ბრძოლის ველზე მედგარ იერიშებს განაგრძობენ და პოზიციებს ზედიზედ იპყრობენ. ასპარეზის დანარჩენ ნაწილში სიწყნარეა.

**იტალიის ასპარეზი.** ავსტრიელები კვლავ ენერგიულად მოქმედებენ და ზოგ ალაგს წინ წაწევასაც ლამობენ.

**მაკედონიის ასპარეზი.** სერ·იელთა ბრძოლის ხაზზე მოკავშირეები კვლავ წინ მიიწევენ.

**რუმინიის ასპარეზი.** ჩრდილოეთით წვრილი, ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია. დობრუჯაში ორივე მხარე გადაჯგუფებას აწარმოებს და ემზადება.

ორივე ახალი ტიპის დირიჟაბლია. ერთზე მყოფი 22 ,აფიცერი და მეომარი დავატყვევეთ. მეორე დირიჟაბლი შიგ მსხდომ ხალხიანად დაიწვა.

დამატებითი ცნობა: თავდასხმაში მონაწილეობდა არა უმეტეს 12 დირიჟაბლისა. მიდლენდგს პროვინციაში ყუმბარებით მოუკლავთ 2, დაუჭრიათ 11. ჰფიქრობენ, ნანგრევებში უფრო ამაზე მეტია მოყოლილი. დაზიანდა სადგური, დაინგრა თითქმის 12 სახლი და მაღაზია დაიწვა ეკლესია და საწყობი. პროვინციაში აუარებელი ყუმბარები ჩამოუყრიათ. ბევრი ყუმბარა ზღვაში ჩაცვივნულა. ლონდონში მოკლულია 17 კაცი, 8 დედაკაცი, 3 ბავშვი, დაჭრილია 45 კაცი, 37 დედაკაცი, 17 ბავშვი. პატარა სახლებისა და დუქნების უმეტესი ნაწილი დანგრეულია და გადაბუგული. ორი დიდი ქარხნის ნაწილიც დაზიანდა. სამხედრო ზარალი არაფერი მოგვსლია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ჰომ ანშენე“ იტყობინება, რომ მდ. სომმაზე გერმანელებს რამდენიმე წყება თხრილები აუშენებიათ, რომლებიც ერთმანეთთან და მახლობელ ცენტრალ პუნქტთან, ხვრელებით არის გაერთიანებული. ამას გარდა მათ უდიდესი მავთულის ხლართებით დაუცავთ ეს თხრილები.

— —

„ტაიმსი“ ირწმუნება, რომ ჩრდილოეთ ზღვაში გერმანელთა ფლოტი ბოლო დროს ძალიან ამოქმედდა. თუმცა დიდი გემები არ გამოდიოდნენ ზღვაში, მაგრამ საფრენები, წყალქვეშები და ნაღმოსნები მოსვენებას არ აძლევდნენ ამ ზღვას; შაბათს კი მეთევზეებს გერმანელთა საოკეანე ფლოტიც უნახავთ კუნძულ ჰელასლანდისკენ მიმავალი.

— —

ინგლისურ „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით რამდენიმე გერმანელი ინჟინრები, რუსის სამხედრო ტყვეებათ გადაცემულნი გადასულან ჰოლანდიის მიწაწყალზე და განუცხადებიათ პოლონელებისათვის რუსები ვართო. ამის შემდეგ ისინი დასცემიან გემ „ბრიუსელს“ მანქანები მასზე გაუფუჭებიათ და მიმალულან.

— —

გერმანიიდან ასახლებენ ყველა იმ ავსტრიელებს, რომელთაც სურსათი სამშობლოდან არ მოუვათ. ამის გამო ავსტრიული გაზეთები სწერენ, ამის მაგვარი მოპყრობა მოკავშირესადმი ნუ თუ არ დაუშლის მათ დაახლოვებასო.

— —

როგორც ეხლა ირკვევა ბრუსილოვის მიერ წამოყვანილ აურაცხელ ტყვეთა შორის მომეტებულ ნაწილად ჩეხელები ყოფილან, რომელნიც მთელი პოლკებით ნებდებოდნენ რუსებს.

— —

ჰინდენბურგს რამდენჯერმე გაუბრთხილებია ზამთარში და გაზაფხულზე ავსტრიელები, რუსები შეტევას დაიწყებენო, მაგრამ ავსტრიელები მაინც ვერ მომზადებულან სათანადოთ.

— —

ვერდენთან ბრძოლები ერთიანად მიყუჩდა; იშვიათი საარტილერიო ბრძოლა თუ მოწმობს იმას, რომ აქ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოები დგანან.

— —

მდ. სომმაზე ინგლისელთა ქვეითა ჯარმა კვლავ წინ წაიწია და მორტენპიუიშის და კურსალეტის განაპირები დაიპყრეს.

— —

დასავლეთის ასპარეზზე მოკავშირეებმა უკვე მესამე ხაზის გარღვევა დაიწყეს.

— —

გერმანელები დიდი ყურადღებით უცდიან რეიხსტაგის გახსნას.

— —

ხმები გერმანია დანიას შორის მძულვარების შესახებ სიმართლეს მოკლებული ყოფილა.

— —

ამ დღეებში ბელგიაში რამდენიმე კაცი დაუხვრეტიათ, რომელნიც მოკავშირეთა მზვერავებს ეხმარებოდნენ და რამდენიმეას ტყვეს გაქცევაში დაეხმარნენ.

— —

მესოპატამიაში ბრძოლა მთლად მიყუჩდა ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსი მდ. ტიმჩოსის სამხრეთ ნაწილზეა დაბანაკებული და ოსმალები კიდევ მათ არა სდევნიან.

— —

დობრუჯაში მომქმედ ბულგარელთა ჯარში კავალერია განსაკუთრებით ოსმალეთისა ყოფილა; ქურთების საკავალერიო კორპუსი ერთიან ოსმალებს დობრუჯაში გაუგზავნიათ.

— —

ოფიციალ ბიულეტენის მიხედვით ერთი კვირის განმავლობაში ინგლისელებს ყველა ასპარეზებზე 1,181 აფიცერი და 32,678 ჯარის კაცი დაჰკლებიათ.

— —

მეტად მძლავრი გამომდგარა მოკავშირეთა ჯარის მარცხენა ფრთის შეტევა მაკედონიაში. ბულგარელების მიერ მონასტირის დაცლას დღე-დღეზე მოელიან.

— —

მონა·ტირისაკენ წინ წაწევას მოკავშირეთა პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს და სწერს: შორს აღარ არის ის დრო, რაც რუმინიაში მოქმედ რუსის ჯარის სარდალი ზაიონჩკოვსკი და სარაილი სოფიაში ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენო.

### ქ. ქუთაისი, 16 ენკენისთვე.

**კიდევ ყუ·სალობის შესახებ.**

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ „თანამედროვე აზრში“ დაბეჭდილ წერილს ყურსალობის, ანუ ადამიანთა მოტაცების შესახებ*).

*) ეს წერილი უადგილობის გამო დღეს ვეღარ გადმოვბეჭდეთ. დაიბეჭდება ხვალ.

რედ.

ამ წერილში ბევრი სალი აზრია გამოთქმული, ბევრი სამართლიანი საყვედურია ჩვენი ცხოვრების მესვეურთა თუ არა მესვეურთადმი მიმართული, ბევრ მწარე ამბებს გვაგონებს ახლო წარსულიდან და დიდათაც გვაფიქრებს ჩვენს მომავალზე, მაგრამ ეს წერილი ცალმხრივად არის გაშუქებული და ხალხის მსხნელად კვლავ ერთი რომელიმე ჯგუფი, ან წრე მიაჩნია

ჩვენის აზრით კი დღევანდელ ჩვენ სიგლახეში ყველას თანაბრად მიგვიძღვის დანაშაული და ყველამ ერთადაც უნდა მოვინანიოთ ეს დანაშაული.

ეჭვი არ არის: ერთი ჯგუფი, ან წრე ქართველობისა შეიძლება მეტად იყოს შემცდარი, ვიდრე მეორე, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს რომ ეს მეორე წრე ცამდის მართალი იყოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს დღევანდელ ჩვენს აღრეულობასა და სიბეჩავეში.

მოგეხსენებათ, რომ ქართველი ხალხი ისტორიის ასპარეზზე ახალი გამოსული არ არის.

ამ ხალხსა აქვს თავისი დიდი წარსული, თავისი შემუშავებული ზნე და ხასიათი, თავისი საკუთარი მისწრაფება და იდეალი.

ჩვენ არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ქართველ ხალხს არა გვჭირდეს რაიმე ცუდი თვისება, ან ყველაფერი ჩვენი კარგი და სამაგალითო იყოს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვქონია სალამი, გვცოდნია მეზობლობა, გვყვარებია ჩვენი ეროვნული თავისუფლებაც და პატივი გვიცია სხვის თავისუფლებისათვისაც....

ქართველი კაცი — როგორც ქართლელები იტყვიან ხოლმე ჯერ ქუდს დასდებდა და სამართალს ისე გადასწყვეტდა ხოლმე ე. ი. მოწინააღმდეგეს არ დაუმალავდა არც თავის შუბლს და არც თვალებს.

ვაჟკაცობა იყო პირველი თვისება ძველის ქართველისა, ვინაიდგან მიპარვით ზურგში ხანჯლის ჩაკვრა მხოლოდ წუნკალებმა იციან...

დრონი იცვალნენ. საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრების უკუღმართად არა ბუნებრივათა, და უბედურად ვადაბრუნებამ წელში გასტეხა ქართველი ერი.

ეს უკანასკნელი ასი წელიწადი ემსახურებოდა მხოლოდ ქართველი კაცის ხასიათისა, გუნებისა გონებისა და ზნე-ჩვეულების შერყვნა-შეტრიალებას და, საუბედუროდ, ჩვენა გვგონია რომ კიდეც მიაღწია თავისს მიზანს.

აი აქ არის დამარხული უმთავრესი ნერვი ჩვენი დღევანდელის დაცემულობისა, უხასიათობისა და იმ საარაკო შეურიგებლობისა, რომლესაც იჩენენ ერთმანეთისადმი ჩვენში არსებული ჯგუფები.

დაჰკრა ხალხის [illegible] ძმობა-ერთობის სახელით მთელი რუსეთი ახმაურდა, ახალმა [illegible] გულისთქმამ ქართველი ხალხიც გაიტაცა, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა ის საერთო სივაგლახე, ის შენ ჩემობიანა და გამთიშველობა, რომელიც ტყვილად არ ითესებოდა „ვისგანაც ჯერ არს“ ქართველ ხალხში ქართველ ერისავე დასაღუპავად.

ჩვენში გაჩენილი დასები დაერივნენ ერთმანეთს, თავისუფალი სიტყვისა, აზრისა და ამ სიტყვა—აზრის თავისუფლად განსჯის მაგიერ, ჩვენში გამეფდა ფანატიკოსობა, ჩამოვარდა ჯგუფობრივი ჯიბრი და დავიწყებულ იქმნა თვით ხალხი, ხალხის უმრავლესობა, რომელიც ვერასოდეს ვერ იქნება მხოლოდ და მარტო ამა თუ იმ დასის, ამა თუ იმ ჯგუფის ყურ-მოჭრილი მონა, არამედ მას აქვს თავისი განსაკუთრებული სულის კვეთება, განსაკუთრებული ფსიხოლოგია, შექმნილი საუკუნოებით და განმტკიცებული ჭირნახულობით.

აი სწორედ ხალხის ეს ფსიხოლოგია დავივიწყეთ და იმის მაგივრად რომ ჩვენი სიტყვა და აზრი შეგვეფარდებინა ხალხის გულისთქმისათვის, ჩვენ მოვინდომეთ ამ ხალხზე გაბატონება, ჩვენი თავი დავსახეთ მის მსხნელად და რადაც უნდა დაგვჯდომოდა ჩვენ პირდ აზრებსა და მოძღვრებებს ვახვევდით მას თავზე!...

შედეგი და ნაყოფი ჩვენის ასეთის მოქმედებისა ყველას მოეხსენებათ. ადამიანის პიროვნება ხუთ გროშიან ტყვიად შეფასდა და ამა თუ იმ კაცის აზრი დასაცინი და დასაგმობი გახდა, მარტო იმიტომ, რომ იგი არ იყო მოწონებული ამა თუ იმ ჯგუფის ხელმძღვანელებისაგან. პიროვნება, რწმენა და კერძო საკუთრება — ეს საფუძველნის აზოგადოებრივ ცხოვრებისა-ფეხით სათელი შეიქნა..

ყოველივე ამის უარ-ყოფა ბევრს დემოკრატობა ეგონა და სისხლის უბრალოდ დაღვრა-რეოლიუციონერობა.

უბედურება კიდევ ის იყო, რომ ხმასაც ვერ ამოიღებდი, ვერავის ვერაფერს ეტყოდი და ვერავის ვერ დაიფარავდი, თუ გინდოდა, რომ შენ თვითონ არ „ჩაეძაღლებინეთ, როგორც ხ·ლიგანი და მიღალატე დემოკრატიისა?....

საწყალი დემოსი კი მწარედ გმინავდა და ღმერთს ეხვეწებოდა ძველი ბოქაულებისა და სტრაჟნიკების დაბრუნებას.

ჩვენში (ლიახვის ხეობაზე) ანარქისტები არ იყვნენ, მაგრამ თვით ამ სტრიქონების დამწერმა ორმოცდა ათამდე უბრალოდ განწირული გადაარჩინა სიკვდილს, რამაც მადლობის ნაცვლად ერთ ხანს „ხუ-

## ზღაპარი მეფის სასახლეში..

ქალბატონ მ—ს გემოვნებით მოეწყო ნადიმი.

მცირე რიცხოვან ოჯახს, ცოლ-ქმარსა და ქალ-ვაჟს, რვა სტუმარი მივემატეთ. სუფრას მხოლოდ 12 კაცი მიუსხდით. მეგობრული ელფერი სუფევდა.

ვაჟებისთვის საფოლაქეში გასაყარათ თითო ვარდი იყო დამზადებული, ქალებისთვის პატარ-პატარა თაიგულები.

სუფრის შუა იდგა თაიგულიანი ვაზა.

ყველაფერი წინათ განზომილი, მოხდენილი, ლამაზი და სასიამოვნო იყო; არაფერი არ იძახდა, შემომხედეთ მე აქ ვარო.

თამადა დაჯდომისთანავე ავირჩიეთ; დიასახლისმა დაავალა: „დათრობით ნუ შემიწუხებ სტუმრებს, ისე კი შემიზარხოშე, რომ სადინჯემ მხიარულება არ დასჩაგროსო“... დიასახლისის თხოვნა ასრულდა—მალე ყოველი ჩვენგანი მზათ იყო ეცეკვნა და ემღერა, ოღონდ სხვებისთვის მოლხენა არ ჩაეშალა.

მომღერალთა ტკბილი გუნდი შესდგა.

ჩვენს სმურებში არ იყო არც გატლეკილი ხოტბა, დიდება, არც პრინციპიალური სჯა, რომელიც სუფრას საკამათო ასპარეზათ ხდის.

ლექსი, სმური, ანეკდოტი, სიმღერა, ახალი ამბავი ერთმანეთს სცვლიდა. მხიარულებაში ყველას შეჰქონდა წვლილი.

ნასადილევს მთელი საზოგადოება ეტლით გასეირნებას აპირებდა, მაგრამ სუსტმა ქარმა შეგვაშინა და საჩქაროთ დავბრუნდით.

დაშლა მაინც გვენანებოდა.

მაღალ ხეებითა და ქვიტკირით შემოზღუდულ პატარა ბაღში სუსტი ქარი სიოთ ნელდებოდა,

ჯგუფ-ჯგუფად დავსხედით.

ნიჟლავზე ბანქო და ნარდი ვითამაშეთ; ფულზე თამაში ისე, როგორც ქადრაკი, დიასახლისმა არ დაგვანება: „არა, არა! დღეს ვიმხიარულოთ!.. ნამეტანი ფიქრი და აღელვება აკრძალულიაო!“

აქ ვიღაც ნაცნობის გაკიცხვის სურვილმა წამოყო თავი, იქ რაღაც ჭორის მზობა დაიწყეს.

— ბატონო, —მოვიდა ჩემთან მოხერხებული დიასახლისი—თქვენ ჩვენს მხიარულებაში არ მიგიღიათ მონაწილეობა...

— როგორ არა... ვსვი, ვიცინი... მეტი რა უნდა ვქნა?

— არა, უნდა დაგაჯარიმოთ... წაგვიკითხეთ რამე. .

— სიამოვნებით... ოღონდ დაწერილი არაფერი მაქვს...

— გვიამბეთ...

— ...ასე მოუმზადებლათ... რომ დავიწყო და გრძელი გამოვიდეს?..

— არა უშავს რა, არც ჩვენ მივრბივართ სადმე,.. აბა—მიმართა დიასახლისმა ბაღში გაფანტულ სტუმრებს—მოუსმინოთ...

არაფერი დამრჩენოდა, უნდა მეამბნა. სანამ შეიკრიბებოდენ, დასხდებოდენ, რაღაცა მივკიბ მოვკიბე და ალალ-ბედზე დავიწყე.

* * *

მეფის სასახლე ზღვაზე იყო გადამდგარი,

თვით სასახლეს კი მედიდურათ დასცქეროდა შავ-ნაბად წამოსხმული მთა.

მუდამ ლურჯი ცა ფაფანაკათ ეფარა მათ.

მხიარული იყო აქ ცხოვრება.

ყველაზე უფრო ნეტარი დროის გატარება მეფის შვილს, მემკვიდრეს შეეძლო.

მაგრამ უბედურება მისი სწორეთ ის იყო, რომ ლურჯი ზღვა საითკენღა ეწეოდა, პირქუში ტევრი საიდუმლოებას უფარავდა და წმინდა, ნაზი ცის კამარა სიყვარულს ჩასჩურჩულებდა.

სანამ სულ პაწია იყო, გასცქეროდა ზღვას, შესცქეროდა ცას, უცქერდა დაბურულ მთას.

წამოიზარდა.

მოინდომა ტევრში სიარული.

დედა ევედრა, შორეულ მთას, დაბურულს მერეც მოესწრები ჯერ პატარა ტყეებით დაკმაყოფილდიო.

დათანხმდა ვაჟი.

მცირე ტყიდან მემკვიდრე გახარებული დაუბრუნდა დედოფალს:

— დედა — ბატონო, ტყეში ერთი მელია შემხვდა ეს შვილდ-ისარი მომცა და მითხრა: „ცხრა-თავიანი მდევის ნაქონია, კარგათ მოუარე, გამოგადგებაო; ღმერთმა შენ მოგახმაროს, მამიშენის ბევრი კარგი მახსოვს და სხვაფრივ როგორ გადაუხადოო“.

იამა დედას.

ახლა, დედა, ზღვის იქით გამიშვიო— დაუმატა შვილმა.

— ჯერ პატარა ხარ, ზღვის იქით რა გინდა, მდინარეებში ინადირეო—ურჩია დედამ.

დათანხმდა შვილი.

მოგზაურობიდგან მემკვიდრე მალე დაბრუნდა და დედას ახარა.

— დედა, მდინარეში ერთი გედი ვნახე, ეს ბეჭედი მომცა და მითხრა, კარგათ მოუარე—ზღვის დედოფლის ნაქონია, გამოგადგებაო. მამიშენის ბევრი კარგი მახსოვს და სხვა გვარათ როგორ გადაუხადოვო.

მემკვიდრეს სპილოს ძვილს სასახლე ჰქონდა;

ნარდი — ალმასის.

კამათელი—ბრილიანტ—ჩამჯდარი იაგუნდის.

ოცს წულა-მესიტი შემოქონდა.

და ასი უწევდა აბჟანდს,

მაგრამ მოწყენილი იყო, უცქეროდა ტევრს და შესცქეროდა ცას.

ვეღარ მოითმინა...

და

დედას სთხოვა:

— ეხლა კი წავალ ტევრით დაფარულ მთაშიო.

— შვილო, რა მიგაჩქარებს.:—დაეკითხა დედოფალი.

— გულში იადონი მიმღერის და საითკენღაც მეზიდებაო.

— იქ ქაჯებია, მდევებია, შვილო; ჯერ პატარა ხარ და მომიკვლენ შენს თავსო.

მემკვიდრემ აიღო შვილდ-ისარი და დედას უთხრა:

— ხომ იცი, დედა, ამ მუხას რამდენი ისარი მოხვედრია მაგრამ არაფერი დასჩენია და აბა მე მიყურეო...

დაზიდა ცხრა თავიანი მდევის ნაქონი შვილდის ლარი და ნასროლმა ისარმა ასწლოვანი მუხა შუაზე გააპო.

— ღმერთმა კეთილი გზა მოგცეს, შენი საქმე შენ უკეთ იციო — დალოცა დედამ შვილი.

აიღო ყმაწვილმა ცხრა თავიანი მდევის ნაქონი შვილდ-ისარი, ზღვის დედოფლის ნაქონი ბეჭედი, აკოცა დედას ხელზე და გაუდგა გზას.

ცოტა იარა თუ ბევრი იარა, ერთ სახელმწიფოში მივიდა.

ამ სახელმწიფოს მტერი ესეოდა. მზეთუნახავი ახალგაზდა დედოფალი და დიდკაცობა ციხეში გახიზნულიყვნენ. მტერს ალყა შემოერტყა გაიგო თუ არა მეფის შვილმა ახალგაზდა დედოფლას მტერი აწუხებსო, მოზიდა მშვილდ-ისარი მთელი ბანაკი ჯარიან-კარვებიანათ მილეწ-მოლეწა და ქვეყანა გაანთავისუფლა.

მზეთ უნახავმა დედოფალმა მოციქულები მოუგზავნა:

— ისეთი ვაჟკაცი ყოფილხარ, დაგინახე—შემიყვარდიო; თუ მოგეწონე, შემირთე, თუ არა და ყმად წამიყვანეო.

ქალი ხომ მზეთ უნახავი იყო და სამი ჯნურო სიტყვებმა მეფის შვილის იადონიც აafართხალა საგულეში; გახარებული ჩიტი სულ იძახდა:

ჩქარა, ჩქარა, ამაზე უკეთეს რას ნახავო.

დაქორწილდენ.

ყმაწვილი შვილდ-ისარს არ იშორებდა.

ერთხელ ცოლი ალერსით შეეკითხა; ამ შვილდ-ისარს რომ არ იშორებ, არ მოგბეზრდაო?

— რატომ მომწყინდებოდა, შენისთანა კაი ცოლი ამ შვილდ ისარმა მაშოვნიაო.

— როგორ? ჰკითხა ქალმა.

— როგორ და მაგ შვილდ-ისრით იყო შენი მტერი რომ დავამარცხე. . ვისაც მაგი აქვს, ყველას მოერევაო

მოჰკიდა ქალმა შვილდ ისარს ხელი, დაუმიზნა ასწლოვან მუხას და შუაზე გახლიჩა.

— იმეო!. იკივლა ქალმა—აწი რაღა მიჭირს, მე თვითონ ყველას მოვერევი, შენ შენს გზას წაეთრიეო.

გაუკვირდა ვაჟს, ეწყინა მაგრამ რას იზამდა, „გაუდგა თავის გზას და სახლში დაბრუნდა.

თავის უბედურებაზე კრინტი არ დაუძრავს, ისე კი ამბობდა, არც ქაჯი და არც მდევი არ შემხვედრია, ნადირი ბევრია და მათ დახოცვაში დავწყვიტე და დავამტვრიე შვილდ-ისარიო.

მოეწყინა მეფის შვილს მარტოობა-

შემოკრბენ ფილოსოფოსნი. ეკამათენ, ებაასენ... ტურფანი უმღეროდეს, ტურფანი ცეკვავდენ, ტურფანი უალერსებდენ, მეფის ვაჟი კი მაინც...

შესცქეროდა ზღვას და წასვლას ემუქრებოდა სადღაც.

— შვილო, აქ ყველას უყვარხარ, მეტი რა გინდა, სად მიეშურებიო?—ეუბნებოდა დედა.

— მე კი არა, დედა, მეფის მემკვიდრე უყვართო — უპასუხებდა შვილი.

— შვილო, აბა მიმღერიან? ვარდებს გესვრიან, გიღიმიან, უცხო ქვეყნებში ისეთი მდიდარი ხალხია შენი მეფობა სიგლახაკეთ გამოჩნდებაო.

რას ამბობ, დედა ჩემს ბეჭედს, რამდენს ხელს ჩამოუსვამ იმდენი თვალ მარგალიტი სცვივა და როგორ არ მეყოფაო?

— წადი, შვილო, თუ ასეთი ხვითო აქვს დაეთანხმა ბოლოს დედოფალი,

ლიგანისა, პეტროგრადისა და ხალხის მოღალატის“ სახელით მოგვნათლა, ყველა ეს იმიტომ გავიხსენეთ რომ ჯგუფურმა თავ დავიწყებამ, პირად განდიდებისა და ხალხზე გაბატონების სურვილმა ამა თუ იმ ჯგუფისამ დაგვავიწყა მეთქი თვით ხალხი და ახლა ყველა „ალია და მუსია“ თავის ნებაზე დაჭენაობს და ამავე ხალხს ჯოჯოხეთის ცეცხლში აგდებს, თავსა სჭრის ყაჩაღებისა და არნაუტების სახელით ანათ თვლინებს მთელს ერს, მთელს საქართველოს.

გაქვს რამე, უბედურებაა, არა გაქვს რა და—უარესი!

თუ მდიდარი ხარ არ იცი, როდის მოგიტაცებენ, თუ ღარიბი ხარ და შენ სიტყვას კიდევ გავლენა არა აქვს.

ასე და ამ გვარად, ჩვენ დღევანდელ ყოფნაში დამნაშავეა ყველა ის, ვინც მხოლოდ კერძოობას დაყრდნობია და შეერთებულ მოქმედებას ჰგმობს.

ჩვენი აზრით კი საჭიროა შეერთება ყველე სალი და ხალხისთვისათვის მართლა თავ დადებულ ელემენტებისა: თავადი იქნება იგი თუ აზნაური, ერი თუ ბერი, ვაჭარი თუ ნოქარი, მუშა თუ ბურჟუა, ნასწავლი თუ უსწავლელი და როცა ეს მოხდება, ე. ი. როცა ყველა ჩვენთაგანი წარმოიდგენს, რომ გარეშე ჩვენის პარტიულისა თუ წოდებრივ მდგომარეობისა,— გვაქვს საძმო საერთო, საქვეყნო საქმე — ხალხის დაცვა, მისი სახელისა, უფლებისა და ღირსების აღდგენა,—მაშინ ველარავითარი ბნელი ძალა ვერ იპარპაშებს ჩვენში და არამც თუ კაცის მოტაცება, ყურსალობა, არამედ კატის მოტაცებასაც ვერავინ გაბედავს, ვინაიდან ხმა ერისა იმავე დროს ხმაა ღვთისა...

ია ეკალაძე.

## სამხედრო მიმოხილვა.

წინა წერილებში ჩვენ გავითვალისწინეთ ის ღონის ძიებანი, რომლებსაც მიმართა გერმანიამ თავის გაჭირვებულ მდგომარეობაში, რათა თავი დააღწიოს განადგურებას და გამარჯვებული თუ არა პირნათლად მაინც გამოვიდეს ერისა და ქვეყნის წინაშე.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, თუ ჩვენ ვამბობთ, გერმანია დღეიდან თავდაცვითი ტაქტიკით დაკმაყოფილდება, ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ იგი არსად არ ეცდება წინ წაწევას და მხოლოდ მოკავშირეთა ჯარის იერიშებს მოგერიებს

ყოველი თავდაცვა ნაყოფიერია მხოლოდ მაშინ, თუ თავის დამცველი მხარე დრო და დრო უტევს მოწინააღმდეგეს, არეულებას იწვევს მის ბანაკში და რამდენადმე მის გეგმას ნირს უშლის.

ასე იქცეოდნენ ისტორიის განმავლობაში ალყა შემორტყმული ციხის დამცველები და გერმანიაც დღეს გარემოცულ დიდ ციხეს წაგავს.

გერმანიას მაინც ექნება მიზნად შეტევა დროდა დრო იმ ალაგებში საცა ამას მარჯვე თავდაცვა მოითხოვს.

ამ ხანად გერმანიისთვის ძალიან საჭიროა გერმანია-ავსტრიისა და ოსმალეთს შორის გადებულ „ხიდის“ შენარჩუნება. ოსმალეთის მნიშვნელობა გერმანიისთვის ცხადია და მეტიც არის ამის გამეორება.

გერმანია-ოსმალეთის შემაერთებელ ყელს რუმინიის გამოსვლის შემდეგ ორივ მხრიდან მოევლინა საფრთხე: სამხრეთით გენ სარაილის ჯარი, ჩრდილოეთით კი რუმინიის ჯარი და რუსთა რაზმი გენ. ზაიონჩკოვსკის უფროსობით. სარაილის ჯარის წინააღმდეგ გერმანელებმა დიდი ხანია მიიღეს ზომები მათ გამოიწვიეს ანარქია საბერძნეთში და მეფე კონსტანტინეს დახმარებით საბერძნეთი დღეს მოკავშირეთა საექსპედიციო კორპუსისათვის დიდი საფრთხეს წარმოადგენს. ადვილი შესაძლებელია, რომ ამოქმედდება, თუ არა ეს ჯარი ბერძნები აშკარად თუ არა ფარულად მაინც დაეხმარებიან გერმანიას და აჯანყდებიან; მხოლოდ რანაირიც უნდა იყოს იგი, ყოველი აჯანყება მოქმედ ჯარის ზურგით უარყოფით გავლენას მოახდენს ბრძოლის მსვლელობაზე. ამ მუდმივ საფრთხის გამო გენ. სარაილი იძულებულია ერთხელ კიდევ გადასდოს განზრახული შეტევა.

ავსტრია-ოსმალეთის შემაერთებელ ყელს ჩრდილოეთით მოვლენილ საფრთხეს სხვანაირად მოუარეს გერმანელ-ბულგარელებმა: გამოუცხადა თუ არა რუმინიამ ომი ავსტრიას მათი ჯარი მაშინვე დაეცა დობრუჯის საზღვარს და ვიდრე რუსის დამხმარე კორპუსი მოვიდოდა და ბრძოლაში ჩაებმებოდა ბულგარელებმა გერმანელების და ოსმალების დახმარებით თითქმის ერთიან დაიბრუნეს 1913 წელს დაკარგულ დობრუჯის ნაწილი და კონსტანცას (ნავთსადგურია შავზღვაზე) 16—18 ვერსით დაუახლოვდნენ; ღია დაუფარავი ბრძოლის ხაზი კი ერთი ორად შეამოკლეს. და არჩენ რუმინია-ბულგარეთის საზღვრავს მდ. დუნაია, რომელიც მშვენიერ ბუნებრივ საფარს წარმოადგენს და ბულგარელებს შეძლებას აძლევს თითქმის მხოლოდ არტილერიის შემწეობით დაიცვან ეს მხარე.

ამნაირათ ბულგარეთის მიწაწყალი ჯერ ჯეროზით უზრუნველია მოწინააღმდეგის ჯარის შემოსევისაგან.

მოკავშირეთა შეტევა მაკედონიაში მონასტრისკენ, მუხედავათ მისი ძალღუმობისა, მაინც სუსტია და არ შეიძლება მასზე დიდი იმედების დამყარ დებ,რადგანაც ჯერ ერთი, რომ ბრძოლის ველი ერთობ დაშორებულია ცენტრალ სახელმწიფოების შემართებელ ყელის ვიწრო ნაწილს და მეორეც ბრძოლის ველი არ წარმოადგენს დიდ მოედანს.

მკავშირეთა ცდა საბერძნეთის გადაბირებისაკენ მიმართული იმედია მათ სასარგებლოდ დაგვირგვინება და მაშასადმე გენ. სარაილს შეძლება ექნება ძალუად შეუტიოს მოწინაღდეგეს; იმედია აგრეთვე, რომ რუმინელ-რუსთა ჩრდილოეთ დობრუჯაში შეჯგუფებული ჯარები შესძლებენ არამც თუ დაკარგულის დაბრუნებას, არამედ წინ წაწევას და გენ. სარაილთან შეერთებას.

შვერელი.

# ახალი ამბავი.

**დეპეშა.**

**უმაღლესის ბრძანებით შემოწმებისაგან გაანთავისუფლეს ის თეთრბილეთებიანები, რომლებიც მუშაობენ რკინის გზის გაყვანაზე ან რკინის გზის ექსპლუატაციაში. აგრეთვე გაანთავისუფლეს ის მუშებიც, რომლებიც სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს ემსახურებიან და იმყოფებიან სამხედრო საკრებულოები დან 25 ვერსის მოშორებით. (პეტ დეპ. სააგ.)**

✦ შაბათს 17 ენკენისთვეს სახ. სკოლების დირექციის დარბაზში სახალხო სკოლების ინსპექტორთა კრება მოხდება კრება განიხილავს მასწავლებელთა და მათი გადაყვან-გადმოყვანის საკითხს.

✦ სახალხო სკოლების ინსპექტორი ვიშნევსკი სამსახურის საქმეებისა გამო ბათომს გაემგზავრა.

✦ „კოოპერაციის“ მომავალი კრება, რომელიც ამ ცოტა ხანში იქნება მოწვეული განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვას მომავალ საკუთარი ფურნის აშენების შესახებ.

✦ „კოოპერაციამ“ უკვე მიიღო ორასი ფუთი თავი შაქარი. ფუთი ღირს 8 მ. და ექვს შაური. გირვანქა 21 კაპეიკი.

✦ „კოოპერაცის“ გამგეობამ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა ახლად გარდაცვალებულ კოოპერატორის გიორგი ლომთათიძის სახელობის ფონდისათვის გადასდოს 25 მანეთი.

✦ საზოგადოება „კოოპერაციის“ გამგეობის მიერ ამორჩეულმა საგანგებო კომისიამ უკვე შეადგინა სასადილოს დასაარსებელი ხარჯთ აღრიცხვა და ამ დღეებში წარუდგენს გამგეობას, რომელიც დაუყოვნებლივ მოიწვევს საზოგადო კრებას ამ ხარჯთ აღრიცხვის დასამტკიცებლად. სასადილო გაიხსნება შუა ქალაქში, თვალ საჩინო ადგილას და მოწყობილი ინქება ყოველის მხრივ.

კომისიის ანგარიშით ორფერი სადილი ეღირება არა უძვირეს ათი შაურისა.

სანოვაგისა და საჭმლის შესამოწმებლად ყოველ დღე ივლის ექიმი.

**თბილისი.**

— ჯარში გაწვევა. თანახმად მიღებულ ცნობისა 1917 წელს უნდა გაყვანილ იქნენ ის პირნი, რომელნიც 1898 წელს არიან დაბადებულნი ანუ 19 წლისანი. თბ. სამხედრო ბევრის საკრებულომ ცნობები ამ ჯარში გასაწვევთა შესახებ სამხე დრო უფროსს უნდა წარუდგინოს 1917 წ 1 იანვრისათვის.

— ჯარში გაწვეულთა შეღავათის მიმცემი კომიტეტი აუწყებს, რომ პირველ და მეორე ხარისხოვან ძოლაშქრეთა ჯარში გაწვევის გათავების გამო თხოვნების მიღებას კომიტეტი სპობს; გარდა ამისა კომიტეტი აცხადებს, რომ 1 ოქტომბერს დანიშნულია განმეორებითი შემოწმება თეთრბილეთიანებისა 1916—1910 წლისა, სამხედრო სამსახურში გასაწვევად. ამის გამო ის დაწესებულებანი, [...] ნიც ომის საქმეს ხელს [...] ლენი არიან 28 ენკენისთვემდე წარადგინონ სიები ამ დაწესებულებებში მოსამსახურე თეთრ ბილეთიანების შესახებ

ფქვილის სიმცირის გამო მეპურეები კვლავ ცოტას აცხობენ პურს.

## სოფლის ცხოვრებიდან.

(პასუხად მღ. იოილ ფანჩულიძეს. იხ. გაზ. „სამშობლო“ 1916 წ. № 431.)

შეგნებულ ქართველობას და განსაკუთრებით სარწმუნოების საქმეში განსწავლულთ კარგად მოეხსენებათ, რომ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში საკურთხ-ადაპები არის ნაშთი კერპთ თაყვანის მცემლობისა. მართალია, ქართველები თავიანთ სარწმუნოებრივ განვითარების არც ერთ ხანაში, არც ქრისტიანობამდი და არც ქრისტიანობის დროს, არ ყოფილან და არ არიან უკიდურესი და ბრმა ფანატიკოსები, მაგრამ ჩვენში კერპთთაყვანისცემლობის დროს მაინც შესამჩნევად იყო ფეხმოკიდებული ცხოველების მსხვერპლად შეწირვა. ხშირად ადამის შვილებსაც კი სწირავდნენ მსხვერპლათ და როცა ომის ღმერთს განრისხებულად ჩასთვლიდნენ, მაშინ თვით მეფე იყო მოვალე თვისი შვილი შეეწირა მსხვერპლად და ეს უუკანასკნელი დიდ და ღვთის სათნო მსხვერპლად ითვლებოდა.

ძველი აღთქმის ებრაელთა თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ მსხვერპლის შეწირვას იგი იყო მხოლოდ მომასწავებელი იმ დიდი მსხვერპლისა, რომელიც მაცხოვარმა მოიტანა საკაცობრიოთ სამსხვერპლოზედ თვისი ჯვარზე ტანჯვა-წვალებით და ამიტომ ახალ აღთქმაში მას ადგილი აღარა აქვს.

ეს ასეა, მაგრამ ქრისტიანობის შემოღების პირველ ხანებში შეგნებელი ხალხი ადვილათ ვერ შეურიგდებოდა კერპულ მსხვერპლის შეწირვის მოსპობას. აი აქ, უეჭველია, ჩვენი ეკლესიის მაშინდელმა მესვეურებმა დიდი სიბრძნილე, წინდახედულება და გამჭრიახობა გამოიჩინეს და ერთბაშათ არ მოსპეს ქრისტიანობაში ცხოველების მსხვერპლათ შეწირვა. მათ გადააკეთეს ეს ჩვეულება, მისცეს მას

---

მემკვიდრე წავიდა.

ნახა ქვეყნები. ქალაქნი და სამეფონი. მეფენი და საპყარნი, სივრცე დედა-მიწისა შოიარა და ერთ კლდეს მიადგა.

მთვარიანი ღამე იყო. უეცრათ მთვარეს შუქი წაუხდა, მაგიერათ კლდეზე რაღაც მშვენიერება მბრწყინავი და მიმზიდავი დაინახა. ჯერ შეკრთა

მერმე მიუახლოვდა და დაუკვირდა. ქვის ტეხის ხმაც მოესმა. განცვიფრდა.

ქალი იყო მაგრამ რა ქალი!.

ხორცსხმული შვენება და სინაზე, ზე კაცურ ძალას შეერთებოდა.

დაჰკრავდა და მთელი სახლის ოდენა ლოდი მოსკდებოდა. მერმე ერთ ორს ჩაქუჩს შემიკრავდა და წისქვილის ქვას, ბერატაფას ხარხინის კვირისტავს გამოიყვანდა.მეფის შვილმა უცადა,სანამ ქალი მუშაობას გაათავებდა. ცისკარზე ქალმა იარაღი გამოქვაბულში მიმალა, პირზე ბადე ჩამოიფარა; მთვარეს ძველი შუქი დაუბრუნდა და მეფის ვაჟი შორი-ახლოს გაჰყვა ჩქარა მიმავალს ქალს.

ქალი ერთ კარგ, ორსართულიან, სახლში შევიდა.

ცოტა ხნის მერე მეფის შვილიც მივიდა და კარებს დაუკაკუნა

— ვინ ხარო?—იკითხეს.

— მგზავრი ვარ, კარი გამიღეთო!-უპასუხა მეფის ვაჟმა.

— ამ შუაღამეზე რომ გვაღვიძებ, შენი ტოლი ხომ არ გგონივართო?!—მოისმა შიგნიდან მრისხანე ხმა ქალისა.

— არა, მატანტალა არ გეგონო, გამომხედეთო! —შესთხოვა მეფის შვილმა.

— ადი, გოგო, კარი გაუღეო!—ბრძანა ვიღამაც შიგნით.

მეფის შვილი შეუშვეს.

მეორე დღეს ქალმა რომ მეფისშვილი ნახა, მოეწონა..

მართლა და რას დაუწუნებდა კაცი?—შესახედავათ სხვას არ ჩამოუვარდებოდა და სიტყვა—პასუხი და ზრდილობა ხომ მეფის შვილს არ აკლდა

— ვინ ბრძანდებით?—ჰკითხა ქალმა.

— ერთი მოგზაური ვარ... დიდი ზარალი ვნახე... ახლა მინდა იქნებ ძველმა ნაცნობებმა ხელი გამიწყონ, მიმოვიარო სოფელ, ქვეყანაო...

— ჩვენც დიდი მდიდრები არ ვართ, მაგრამ შეძლება მაინც გვაქვს.. მამა ჩემს ქვის ქარხანა აქვს, იქ მუშები გვყავს და გვარიანათ შემოგვდისო...

მეფის შვილმა სიცრუეს ყური არ ათხოვა და ის კი მოეწონა, რომ მამის სიღარიბეს არ იმჩნევსო...

— იქნება, რამე მიწყალობოთ?—კრძალვით შესთხოვა მეფის შვილმა.

— ყველაფერი, რაც კი გნებავს, მიიროთვი, შენისთანა ვაჟკაცს ქალი აბა რას დაუკავებსო?

— ნამეტან ბევრს მაბედვინებო—ისევ კრძალვით მოახსენა მეფის შვილმა.

— სრულიადაც არაო!—უპასუხა ქალმა და დარცხვენით თავი ჩაღუნა.

— აბა ცოლათ წამომყევიო...

— კარგი, თუ სხვაგან არსად მოინდომებ წასვლას დიაღაც მომწონხარ და წამოგყვებიო.

მეფის შვილი სიხარულით ცას ეწია. ჯვარი დეიწერეს.

ცოტა ხნის მერე ქალი გაუტყდა, ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ. . მამა მეთულუხჩეთ არის, მე კი აქ ღამ ღამობით ქვას ვტეხ და მითი ვსაზდოებ, მარა ქვეყანას ხომ ვერ მოვფენ ჩემს გაჭირვებასო.

— ნუ გეშინიაო—უთხრა მეფის შვილმა—ამ სიღარიბისგანაც გამოგიყვანთ და უკეთეს ბედსაც შეგწევთ.

— როგორ?—გაეცინა ქალს.

— აი როგორ...—და მეფის შვილმა ხელი ჩამოუსვა თვის ჯადო—ბეჭედს.

სცვივა და სცვივა თვალ—მრგალიტი.

ქალი სიხარულით გადარია, არ იცოდა ექნა.

— მაჩვენე ბეჭედიო,—სთხოვა ქალმი.

ვაჟმა წაიძრო და მისცა

ქალმა ხელის, გასობა ვერ მოასწრო, რომ თვალმარგალიტი კვლავ-ინდებურათ ჩამოსცვიოდა.

— ეს ბეჭედი მეო—უთხრა ქალმა— და შენ კი შენს გზას გაემგზავრეო... მდიდარი ვიყო, რაღა შენ შომეგაჩერდე, საკაცეთი დეილიაო?

ეწყინა, გაუკვირდა მეფის შვილს მარა რას იზამდა, წამოვიდა სახლში.

რომ დაბრუნდა, თვის უბედურებაზე კრინტი არ დაუძრავს.

ისე კი სთქვა:

ბევრი სეირი ვნახეო. რაც ერთ ქვეყანაში საძრახია, მეორეში სათაყვანოთ მიაჩნიათ რაც ერთს უყვარს, ის მეორეს სძულსო. საცოდავია და ბოლოს და ბოლოს მოსაბეზრებელია ყოველი ადამიანიო—ერთმანეთს ჰგვანან ერთი ხის ორ ნაპობსავით ერთი მეტია, მეორე ნაკლები ერთი ნაპობიდან ხატი გამოითლება, მეორისგან თოხის ტარი, მარა ორივე ერთი და იგივეაო.

ძლიერ მოწყენილი იყო მეფე წასვლაც აღარსად უნდოდა. მაგრამ ჟამსა და დროს უფრო კი სიყმაწვილეს, თავისი გაჰქონდა და, როცა იადონი გულში დაიწყებდა გალობას, გაერეოდა სასახლის ამალაში, ისე კი მარტო მოწყენილი იყო.

— რატომ ხარ შვილო, მარტო... არ სჯობია მაკოსთან დრო გაატარო?—შეეცადა დედოფალი შვილის გართობას.

— კი დედა, კი სჯობია... ოღონდა მაკო რაღაც გამირბის...

როგორ?

— გამირბის ისე... როცა მინდა ჩემთან დაჯდეს, რაღასაც მოიმიზეზებს და თვალთაგან მეკარგებაო.

უსათუოდ ჰგონია შენ მეფის შვილი ხარ და მასთან ყოფნას თაკილობო.

— ისე ქე ეთამაშება, მგონია, უყვავარ, მაგრამ ყოველთვის ჩემთან არ რჩება, როცა მე ვემუდარები.

— შეირთე და შენი იქნება, ვინ წაგართმევსო!— გაამხნევა დედამ.

— შენი მერიდებოდა, არ ითაკილოს თორემ მე დიდი ხანია მოწადინებული ვარო—უპასუხა მორჩილმა შვილმა —აიახლავე წავალ და ყველაფერს მაკოს ვეტყვიო.

დაგლოცოსთ ღმერთმაო!—უთრხა დედამ.

მეფის შვილი მაკოსთან გაემგზავრა. ჩუმათ გადავიდა გალავანი რომ უეცრათ პირდაპირ მაკოსთვის ეთქვა, გაეხარებია სატრფოს გული, მაგრამ საკვირველი ამბავი დაინახა...

მაკო და ვიღაც ვაჟი ერთმანეთს ეალერსებოდენ. მეფის შვილი ჩაჯდა და და ყური დაუგდო.

— ეხლა კი წადი...—ეუბნებოდა ვაჟი

— როგორ მოგწყინდი ..?—უპასუხა ქალმა.

— რას ამბობ, მაგრამ გვიანაა.. ჩრდილი გათეთრდა, სადაც არის ქათმებიც დაიმუდრებენ და შენც მოგიკიხავენო...

— იკივლოს ვისაც უნდა... დასამალავი არაფერი მაქვს.

პირიქით მოხარული ვარ, რა ჩვენს სიყვარულს მთვარე აცისკროვნებს.

— ჩემი ყველამ, ასჯერ გითხარი, რომ რიდი მაქვს მხოლოდ შენის უმწიკლო სახელის სიყვარული ცის ნიჭია და დაუბრკოლებლათ სიყვარული მხოლოდ აქ, მოძრავ ვარსკვლავთა შორს შეიძლება, აქ კი, ამ უხეშ მიწაზე, სიყვარულს თავის კალაპოტი აქვს.

— მერე ვერ გავგლეჯთ ამ ბორკილს..

ვისი გვეშინია?! მაგრამ შენ ნაზი ხარ მეტად. შენ ბრძოლისთვის არ შეუქმნიხარ ღმერთს.

— შენ გსურდა გითქვა, ფრთხალ... ცდები. მგონი ჯერ კიდევ შეშინებული არ გინახავარ, მაგრამ მამაშენს რომ დავინახავ მეკრძალვის არ ვიცი რა უპასუხო, რომ მკითხოს რას ეტანები ჩემ კარმიდამოსო.

რო ეტყვი?... უთხარ, რომ მე გიყვავარ.

— მერე?...

— მერე თანხმობას გამოგიცხადებს ან უარს გეტყვის. გამომჟღავნდება ყველაფერი

— ჩემთვის სულ ერთია. შენს დაშორებას ვერ მაიძულებს თვით ვარსკვლავთა სილამაზე...

— სწორეთ აქ არის უბედურება...

— რათ გერიდება, რას უცდი ნეტავ, წავიდეთ, სადაც სურვილი გქონდეს ხომ კი გაქვს ქოხი? საკმარისია...

დილის პირველ ცვარს შენ ტუჩებზე დავლევ.

მთვარის შუქი შენს სახეზედ საუკეთესო ლამპარი არის.

ასე ჟღურტულობდენ დიდებულის ახალგაზდა ასული და სასახლის დარაჯთა უფროსი.

მათ ეგონათ, რომ მათი ხმა ესმოდა მხოლოდ ჩუმ კედლებს გალავანისას, სიოზე მოშრიალე ცაცხვებს და ბულბულს მიძინებულს რომელიც სტვენით ამჟღავნებს მიჯნურთა საიდუმლოს, მაგრამ უმრავლესობისთვის გაუგებარ ენაზე გალობს.

თურმე კი ფანჯრიდან ქალის დედა ყურს მხიარულათ უგდებდა...

— სად იყავი ჰკითხა დედამ ქალიშვილს.

— მშვენიერი, საღამოა, ბულბული სტვენს, მთვარე ამოდის, სიო დაჰქრის და სურნელებას აპმევს.

— რათ შეწითლებულხარ?...

— დამათრო ბუნებამ.

— რათ ხარ ფერმკრთალი?

— დამათრო ღამემ....

— მართალი მითხარ, შვილო...

— ......

— აი რა გითხრა... უფრთხილდი ყმაწვილს.

— რათა, დედილო

— უკეთესი ბედი მოგელის

— რა ბედი?

— მე ვის შვილი...

— როგორ შეიძლება?

— ძლიერ კარგათ.. შენ დედოფალს მოსწონხარ.. დიდებულო მამისშენის მფარველობა მიყიდის... სასახლეს მე...

— როდის იქნება?...

— დღეს და ხვალ არა, მაგრამ არც ისე შორს არის დღე: ყმაწვილი ასაკში მოდის, დედა უძლურდება და სურს ყოვლის მხრივ კეთილ გზაზე დამდგარი შვილი იხილოს... შენც იფურჩქნები, ხომ დამიჯერებ და გაუფრთხილდები ყმაწვილს? მეფის ვაჟი ჯარის კაცს არ ჩამოგუვარდება თავისთავად და გვირგვინი კარგი „სართავია“...

— მეფის შვილი ქმრად და სატრფოთ კი მაგი, მინდაო,—ურცხვათ უპასუხა ქალმა.

— ამ გოგოსაც კი თავი ვერ შევაყვარე, ეს რა ღვთის რისხვა მემართებაო—იფიქრა მეფის შვილმა და უეცრათ იგრძნო, რომ იადონი მოკვდა.

დედასაც არ გამოთხოვებია—ისე გასწია უმიზნოთ მეფის შვილმა.

ყმაწვილი მიდიოდა. აღარ ჰქონდა მხარზე გაგდებული მძლეთა-მძლე მშვილდ-ისარი, თითს არ უმშვენებდა ხვითო-ბეჭედი, გულში აღარ იმღეროდა სულის წარმტაცი იადონი.

ზღვის პირით დაინახა მეთევზე ქალს ანკესი გადეგდო და უდარდელათ დაჰყურებდა.

ვაჟი შორი-ახლოს დაჯდა და მზერა დაუწყო.

— შეკაცო, რავა მოტირალივით ზიხარ, ერთი სიტყვა მაინც თქვიო—გაეხუმრა ქალი.

— რატომ მოგაცდინო საქმეს; კაი ამბავი არაფერი მაქვს სათქმელი და ცუდი ამბით ჩემგან არ გეიგონო დედა მიწა სავსეა.

— ვერც მე გამაკვირვებ ავით და ჭორით უპასუხა ქალმა. ტოლი მე არა

ქრისტიანული, ქველმოქმედური სახე და ისე გადმოსცეს შთამომავლობას, ეჭვგარეშე იმ იმედით, რომ როცა ქრისტიანობა მომაგრდებოდა და გაღონიერდებოდა, მაშინ ბოლო მოეღებოდა ამ კერპულ ნაშთსაც.

მართლმადიდებელ ეკლესიას ამაზედ უფრო მეტი დათმობა ახსოვს თავის განვითარების პირველ ხანებში, როგორც არის, მაგალითად შობის დღესასწაულის გადმოტანა ექვსი იანვრიდან 25 დეკემბერზედ იმ მიზეზით, რომ ახლად მოქცეულნი, თუმცა ქრისტეს, ამ „მზე სიმართლის“, შობასაც დღესასწაულობდნენ, მაგრამ თავიანთ კერპული „მზის დაბადების“, მზის მოქცევის დღეობასაც არ ივიწყებდნენ, რომელიც დეკემბერში დიდის ამბით იდღესასწაულებოდა მათგან.

ქრისტიანობის პირველ ხანებში საკურთხ ადაპებს ნამდვილი ქრისტიანული, ქველმოქმედური სახე, ჰქონდა. მიცვალებულთა ჭირ ჲ სუფალნი მართავდნენ „ადაპებს“, ანუ „ტაბლებს“, მოუწოდებდნენ ქვრივ ობლებს, დარიბ-დატაკებს, დააპურებდნენ მათ და ამნაირათ სამადლო საქმეც სრულდებოდა და მიცვალებულებსაც შენდობა ეძლეოდა.

მაგრამ გავიდა დრო, საკურთხ-ადაპებმა დაჰკარგეს თვისი პირვანდელი ქველმოქმედური სახე, ადაპი გადაიქცა მავნე და ხალხის გამადატაკებელ ჩვეულებათ. ხელის გახსნაზედ მეცხრე დღეს, ორმოცზედ და წლის თავზე მრავლად ცხოველების დახოცვა, პურღვინით ხარჯი, ისიც ხშირად მამასისხლათ ნაყიდი და ნათესავთაგან გადასახურავი, ანუ შესაწევარი ადატაკებს ნივთიერათ, როგორც მიცვალებულთა ჭირისუფლებს, ისე მათ ნათესავთ.

ბევრი მაგალითი ვიცი, რომ შეძლებული გლეხი დასცა და გაადატაკა ხშირმა სიკვდილმა და ამ სიკვდილით გამოწვეულმა ხარჯებმა და ვალში ჩააგდო იგი. ხოლო ღარიბი, გლეხი, რომელსაც დიდი ხნობით სიკვდილი არ სწვევია, გაღონიერდა, შეძლებული გლეხი შეიქნა და გუშინ რომ მას ცოლშვილი შიმშილი და მშიერ-მწყურვალი დაუარებოდა და სათესლე სიმინდსაც კი სხვას ესესხებოდა, დღეს დაწინაურდა და თვით სხვას აძლევს შემწეობას.

უეჭველია ამის მხილველ სამღვდელოებას უნდა შეესრულებია თვისი პირდაპირი მოვალეობა და უნდა ენერგიულათ ეზრუნა საკურთხ-ადაპების მოსპობაზე. ამასთანავე, რომ საკურთხ-ადაპების მოსპობით თვით სარწმუნოებას არა ვნებდა რა, სამღვდელოების მოქმედება უნდა ყოფილიყო დინჯი და თანდათანობითი. მაგრამ, სამწუხაროთ, სამღვდელოებამ საამისოთ ენერგია არ გაიმეტა. საკურთხ-ადაპებიდამ მას წილი ერგება, რომელიც ერთი მცირე საშუალებათაგანია სამღვდელოების შენახვისა და ამიტომ ნივთიერათ ხელმოკლე სამღვდელოებას დაენანა ამ მავნე ჩვეულების მოსპობა.

მაგრამ რას შვრება ამ შემთხვევაში თვით ხალხი? ნუ თუ ხალხმა აქამდი ვერ შეიგნო საკურთხ ადაპების მავნებლობა და თვით ვერ მოსპო იგი? როდესაც ბრმა სწორ გზას გადასცილდება და ფეხს წაიმტვრევს, იგი სხვა სწორ გზას ეძებს, მაგრამ თუ მას ხელმძღვანელი არ გაუჩნდა და სწორ გზაზე არ დააყენა, იგი სწორს გზას ვერ პოულობს და სწორი გზის ძებნაში შეიძლება უარეს უფსკრულში გადაეშვას. ასეა ხალხიც. ხალხმა ვეღარ გაუძლო სიკვდილისაგან გამოწვეულ უზომო ხარჯებს, მან შეიგნო ამ უაზრო ხარჯების მავნებლობა, იგი მზათაა გაშორდეს ამ ჩვეულებას, მაგრამ უხელმძღვანელოთ იგი სწორ გამოსავალ გზას ვერ პოულობს და მეორე უკიდურესობაში ვარდება.

მოგეხსენებათ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წესით გარდაცვალებიდამ მეცხრე და მეორმოცე დღეებში და წლის თავზე მიცვალებულთა მოსახსენებლათ წირვა და პანაშვიდი სრულდება. ამ წესს ასრულებს ჩვენში მხოლოდ ინტელიგენცია. რაც შეეხება მდაბიო ხალხს, რომელსაც წირვა-პანაშვიდთან ერთათ უზომო ხარჯები სჭირდება, მან ვეღარ გაუძლო ამდენ ხარჯებს და მის ნაცვლად, რომ ინტელიგენციას მიბაძოს და მარტო წირვა-პანაშვიდი გადაიხადოს, ხალხი ასე იქცევა: ვინც დიდი შეძლებულია დანიშნულ დღეებში წირვა-პანაშვიდსაც იხდის და უზომო ხარჯებსაც ეწევა; ხოლო მცირედ შეძლებულნი თვით დასვენების დღეს, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ხოცავს ცხოველებს და ხარჯების შესამცირებლათ თვით იმ დღესვე ერთათ იხდის მეცხრეს, ორმოცს და საწლოსაც. თუ არც საამისო შეძლება აქვს, მაშინ თვით დასვენების დღესაც აღარ მოუწოდებს არამც თუ ხალხს, არამედ თვით ეკლესიის კრებულსაც აღარ უძახის, დაურის ხმას, რომ კაცი სახადით, ან სხვა რაიმე გადამდები სენით მოკვდაო, დაადებს ურემზე და ისე გააქვს სასაფლაოზე და მარხავს. მხოლოდ დასაფლავების შემდეგ დაუძახებენ ეკლესიის კრებულს წესის ასაგებათ. ამნაირათ სანამ შეძლება ჰქონდა, უზომო ხარჯებსაც არ ერიდებოდა და როცა შემოაკლდა, მიცვალებული მწვარივით გადაათრია და დამარხა. ამისთანა შემთხვევა ხშირია.

მღ. იასონ აბესაძე.

(დასასრული იქნება).

# რუსეთი.

ამ ბოლო დროს შორეულ აღმოსავლეთით დიდძალი ბუმბული გააქვთ რუსეთიდან. ამ ბუმბულს ყიდულობენ საექვო უცხოელი ჩარჩები, რომლებსაც ბუმბული ჰოლანდიაში გააქვთ, ხოლო ჰოლანდიაში კი გერმანელები ყიდულობენ და სამხედრო საჭიროებისათვის იყენებენ. ეხლა რუსის მთავრობას სასტიკი კანტროლი დაუწესებია ბუმბულის გაზიდვაზე.

— —

პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს შუამდგომლობა აღუძრავს, გაადიდონ პოლიციელთა შტატი საერთოდ; თავის შუამდგომლობას იმით ასაბუთებს დირექტორი, რომ მისი სიტყვით პოლიციელთა მოვალეობა ომის დროს გადიდდა. მათ უნდა სდევნონ დამნაშავენი, წესრიგი დაიცვან ქუჩებში, ვაჭრებს თვალყური ადევნონ, რომ მეტ ფასში არ გაყიდონ საქონელი ღვინით ვაჭრობა მოსპონ და სხვაო.

— —

სამხედრო მინისტრთან არსდება საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს წესდება სამხედრო ქარხნებში მომუშავეთა დაჯილდოვებისა. როგორც ამბობენ ჯილდო წლიურ ჯამაგირის ტოლა იქნებაო.

— —

რუსეთის თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში სტუდენტების და კურსისტკების დამხმარე კომიტეტები დაარსდა

— —

მთავრობის ახალი განკარგულებით ყველა საზოგადოებრივ ყრილობაზე მთავრობა დღეიდან წარმომადგენლებს იყოლიებს.

# უცხოეთი.

ბერლინში მასსიური ჩხრეკა მომხდარა. ბევრი სოციალ-დემოკრატი დაუტუსაღებიათ და ფულის დადებით არავის არ ანთავისუფლებენ. სხვათა შორის დაუტუსაღებიათ 70 წლის ისტორიკოსი ცნობილი ბელადი სოციალ დემ. მერინგი.

— —

ბოლო თვეებში ბევრს ლაპარაკობდენ შვეციისა და ნორვეგიის შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ და მათ შორის ომსაც წინასწარმეტყველობდენ; როგორც ეხლა ირკვევა ისინი ჯერ კიდევ 1914 წ შეკავშირებულან და ამ წელში მომხდარ სკანდინავიის სახელმწიფოთა კონფერენციაზე კი სამივე სახელმწიფო შეთანხმებულა.

— —

გერმანიაში ახალი „ქალთა ლიგა“ დაარსებულა. ლიგის წევრებს მიზნადა აქვთ ეცადონ ისეთი მდგომარეობა შექმნან, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ომი და ხალხთა შორის მშვიდობიანობა დამყარდეს.

— —

ბოლო ხანებში სკანდინავიის ქვეყნებში მოკავშირეთა მომხრეებმა პროპაგანდა გააძლიერეს. ამ გარემოებამ აფიქრებინა, რომ დანია ომში ჩაერევოდა და მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა.


მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ფორჯოლაძეების სამკურნალო

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), [illegible] საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. ᲓᲔ-ᲕᲔᲖᲘᲡ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲔᲥ. ᲓᲔ-ᲕᲔᲖᲘᲡᲐ ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას ყურსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში Ა. Ნ. ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ.

9—(წლიური)


# თეატრი და ხელოვნება.

ქუთაისის ქართული დრამატიული დასი ენერგიულად შეუდგა სეზონისათვის მზადებას: იწერება ახალი დეკორაციები, აახლებენ ტანისამოსს და ქალაქის თეატრის შენობაში ყოველ დღე რეპეტიციები იმართება. წლეულ დასი ალ. იმედაშვილის ხელშია. მისი ნიჭი, უნარი და შრომის მოყვარეობა გვაიმედებს, რომ სეზონი წლეულ საინტერესო უნდა გამოდგეს.

— —

კვირას 18 ენკენისთვეს გაიხსნება სეზონი წარმოდგენილი იქნება: ნ. შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“ დრამა 3 მოქმ. მთავარი როლები ნიჭიერ და გამოცდილ მსახიობთ აქვთ მინდობილი. მელოს შეასრულებს ნ. ჩხეიძე, ლეოს—ალ. იმედაშვილი და სხვა.

— —

შემდეგი წარმოდგენა იქნება ხუთშაბათს 22 ენკენისთვეს.


რედაქტორი Ი. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.

გამომცემელი ამხან. „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“


---

მყავს, დედ-მამა და ამხანაგიო. აი ანკესსაც არაფერი ამოაქვს, მაგრამ ჩემს ბედს უძლებო. მაინც მითხარი, რა გაწუხებსო?

ვაჟმა თავისი თავგადასავალი უამბო:

— აღარ მყავს იადონი, აღარ მაქვს შვილდ-ისარი და ბეჭედიო—დააბოლოვა ვაჟმა.

ქალმა უპასუხა:

— შენ ისედაც კარგი ხარ, დარჩი ჩემთან, ერთად ვიცხოვროთ სიკვდილამდი სიყვარულითო. მე კი მეყვარები—არ მინდა შენი არც ბეჭედი, არც შვილდ-ისარი და არც იადონიო.

— ვპოვე, როგორც იქნაო - წამოიძახა გახარებულმა ვაჟმა.

იხმატკბილეს.

ბოლოს ყმაწვილმა უთხრა: —ერთი თვით წავალ ჩემი სიმდიდრე რათ დავკარგო, ჩვენ თუ არა ჩვენს შემდეგ ჩვენს შვილებს გამოადგებაო. ოღონდ არ მიმტყუნოვო.

— შენს გარდა, სუდარა შემომეხვიოსო—შეფიცა ქალმა.

მეფის შვილი წავიდა

— ბიჭო, ეს რა მემართება გულში იადონმა დაიწყო გალობა... საწყალს რამდენი ხანია არ უგალობნია დავიწყებით მაინც არაფერი დავიწყნიაო, მკვდარიც კი მეგონაო!—უკვირდა ვაჟს.

გაიხედა ყმაწვილმა და მისი შვილდ-ისარი მოჰფრინავს.

მოვიდა და მის წინ დაეცა.

— თქვენ რამ მოგიყვანათო? ჰკითხა ვაჟმა.

— ჩვენ ამდენ ხანსაც გამოვიქცეოდით, შენ რომ გდომებოდი. სულ ამ დღეს უცდიდითო. აწი მაინც ნუ დაგვიშორებო.

ვერ მოასწრო მეფის შვილმა შვილდ-ისრის მხარზე გადადება, გამოჩნდა ბეჭედი.. მოგორავს და თან ჩეიძახის:

— მიმატოვე მაინც მოვალ აწი ნუღარ გამიმეტებო!

შემობრუნდა უკანვე ვაჟი.

მიდის და მიიჩქარის, უნდა მალე ნახოს საცოლე, ჯვარი დაიწეროს და მიტოვებულ სამეფოს დაუბრუნდეს.

უეცრათ რაღაც შხუილის ხმა მოესმა. მოიხედა.

შენს მტერს ისეთი!

სამი მდინარე, უშველებელი აზვირთებული მოსდევს და მოჰყვირის.

ერთი იძახის:

— შენ რათ წამართვი იადონი, შე ქურდო, შენ... გიჩუქნია, ახლა ჩემია, და ვერ დაგანებებო

მეორე იძახის:

— შენ რათ გინდა შვილდ-ისარი; თუ კაი კაცი იყო, მე არ მომშორდებოდიო.

მესამე იძახის:

— ჩემი ბეჭედი მე მინდა, შენ რა ხელი გაქვსო...

ვაი ჩემს უბედურ დღესო, იფიქრა ვაჟმა... ეს მდინარეები ჩუმი კაი ცოლების ცრემლებია, თუ დამეწია თვალს მაინც ამომწვავს, დახჩობას რომ გადავრჩეო და გაუჩქარა და გაიქცა.

— ნუ გეშინიაო უთხრა გულის იადონმა მე გავფრინდებიო ცრემლები გამომეკიდებიან შორს რომ გავიტყუებ დავბრუნდები და დაგეწევიო.

— მასე არ ვარგაო—ბეჭედმა თქვა მათ სივრცეში შენ თვითონ ჩაიხჩებიო. ისევ ერთი დამაქნიე, მე ოქრო-მარგალიტი ჩამომცვივა; ცრემლები იმას მიესევიან ჩვენ კი სამშვიდობოში გავალთო.

— არც მაგი ვარგაო... უთხრა მშვილდმა. თვალმარგალიტს ერთ თვალის დახამხამებაში გადაყლაპავენ და ისევ ჩვენ გამოგვეკიდებიანო. ისევ სჯობია ჩემს ისარზე შეჯექი, მე ხელში დამიკავე—გავფრინდები და მაგენი ვერ დამეწევიანო.

დაუჯერა მშვილდს ვაჟმა. შეჯდა ისარზე, შვილდი ხელში დაიკავა და გაფრინდა...

ამ დროს მეთევზე ქალი ნავით დასეირნობდა ვიღაც უცხოსთან.

ალერსით დაქანცულნი ყელი ყელს გადაჭდობილნი ისხდენ.

— ვიღაც მოსჩანს—შენიშნა ვაჟმა.

— ძლიერ შორსაა--უპასუხა ქალმა.

— შენი საქმრო რომ იქნეს?

— თავს შემოგევლოს... ვერ დაგვინახავს...

— არიქა! . გავიქცეთ!.. ის არის ის...

ორივე შეკრთა.

გაქცევას აპირებდენ, მაგრამ მეფის შვილმა დააშოშმინა შემკრთალნი, ქალს მშვიდათ ეამბორა და უთხრა:

— ძლიერ მოხარული ვარ. სწორეთ ეგრე მსურდა... განგებ წაველი, რომ დაგშორებოდი როგორმეო!

— ასე იცით ვაჟებმა ჩვენი ქალების მოტყუებაო ..—გაგულისდა მეთევზე ქალი.

ვაჟმა განცვიფრებით შეხედა... უტიფრობამ გააკვირვა... გადისროლა ზღვაში ბეჭედი, შვილდ-ისარი და გალიის კარი გაუღო იადონს.

წავიდა უმიზნოთ.

ნახა ერთი კაცი.

ქვას ყრიდა შუა ზღვაში.

— რას აკეთებ, ძმობილოვო?..—დაეკითხა მეფის ვაჟი

— ციხეს ვაშენებო—უპასუხა უცნობმა.

— შუა ზღვაშიო?..—გაუკვირდა მეფის მემკვიდრეს.

— ჰო, შუა ზღვაშიო...

— მერე რათ გინდა აქ ციხე კოშკი?

— გადაფრენისას აქ ბევრი ჩიტი იღუპება მეც მინდა დასასვენებელი სადგური გაუჩინო მათ..

— მერე...

— მერე ძლიერ მიამება თუ საწადელი ავისრულე. კოშკს ყვავილებით მოვრთავ... ღუღურტულით, გალობით, სტვენით ჩიტები აქ ჩამოჯდებიან... ზღვა დუდუნით დამატკბობს რა სჯობია?! რა სამოთხე იქნებაო ..—აღტაცებით ამბობდა უცხო მუშაკი.

— კარგი, მაგრამ განა იმედი გაქვს ზღვაში ფეხმოკიდებული კოშკი ააგოვო...

— არ ვიცი...

— მაშ, რათ შრომობ?..

— ვიღლები და ტკბილათ ვიძინებ...

— და რომ არაფერი გამოვა შენი შრომიდან?

— არ ვიცი...

— მაშ, რათ შრომობ?...

— ვიღლები და ტკბილათ ვიძინებ...

— და რომ არაფერი გამოვა შენი შრომიდან?...

— მოკვდები და ზღვა დამფარავს. ესეც მითხარი, კეთილო ადამიანო, შენ რომ ეძებდი ისეთს ქალს, რომელსაც შენ შეყვარებოდი, განა აგისრულდა საწადელი... რაღა ჩემის შრომის ნაყოფს ელით... განა შენ კი არ იცოდი, რომ მიუწდომელს ეპოტინებოდი... ჩემს შრომას ჯერ ის მაინც მოყვა, რომ ზღვის შუაგულში ქაფი გამოჩნდა ჩემ მიერ ჩაყრილ ქვებისაგანო...

მეფის შვილმა „მიძმეო“, სთხოვა უცნაურ მუშაკს... ჩიტებთა დასასვენებლათ კოშკის შენება ორმა დაძმობილებულმა ერთად განაგრძო.

*
* *

— თქვენ უკმაყოფილო დარჩით ჩემის ამბით. შევეჩვიე. ჩემით მუდამ უკმაყოფილო ბრძანდებით. სხვა გვარათ ვერ გაგართვეთ, ქალბატონო!—მივმართე მე დიასახლისს მცირე სიჩუმის შემდეგ.

სრულიადაც არა... რითი მამჩნევ?! ბატონებო დროა სახლში შევიდეთ!—დიასახლის წინ გაგვიძღვა.

— თქვენ თვალებს ვამჩნევ უკმაყოფილებას... თითქოს მეუბნებით უსიტყვოთ: —ყოველთვის ასე იცი დამთავრება, თქვენ ფეხზე დგომით და ძველებურათ ჩქარა დადიხართ—ნჩხლობა გიხდებათ...

... რაჭვქნა ესე ვათავებ ყოველთვის...

... მაგრამ ნუ გამიწყრებით...

... თქვენზე უფრო ცუდ გუნებაზე მე ვდგები. .

... მე მოვიყვანე ადამიანის ალსარება... ხალხია ჩემი მოწმე... მართალი ვარ. გასარისხებელი არაფერი დამიშავებია...

ჩვენ მისაღებ ოთახში ვიყავით. სხვები აივანზე შეჩერდენ.

— გადაკრული ლაპარაკი მარად ერთ და იმავეზე რაღაც ზარია და თავის-შეტირილი...—მიპასუხა ბოლოს დიასახლისმა.

— ქალბატონო, მე სამარიდან ვიძახი და როგორ გნებავთ „შაშვი და კაკაბი“ გიმღეროთ?!—წამომცდა ფიცხელი სიტყვა...

მაგრამ რომ შევხედე მის წინ მხიარულს, ეხლა კი მწუხარებით სავსე თვალებს, ლმობიერ სახეს და ბედის წინაშე მოდრეკილს ტანს, თავი დავხარე: „მომიტევეთ“-თქო უთხარი და მოწიწებით ხელზე ვეამბორე.

ნ. ლორთქიფანიძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან